



საქართველოს საფონდო ბირჟის სალისტინგო კომპანიები

2010 წლის 6 მაისიდან საქართველოს საფონდო ბირჟის A კატეგორიის ლისტინგში დაშვებულია სს „საქართველოს ბანკის“ (საბირჟო კოდი **GEB**) აქციები და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) (**#EBR03L**)-ს ობლიგაცია, ხოლო B კატეგორიის ლისტინგში – სს „ლიბერთი ბანკის“ (**BANK**), სს „თელიანი ველის“ (**WINE**) აქციები, ასევე შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ (**\$GLC01H**), სს “M2 უძრავი ქონება” (**\$M203H**), სს “M2 უძრავი ქონება” (**\$M204J**), სს “სამედიცინო კორპორაცია ევექსი” (**\$MCE01H**), შპს “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი” (**#GWP01H**), შპს “ნიკორა ტრეიდი” (**\$NKR01I**)-ს ობლიგაციები.

საქართველოს საფონდო ბირჟის შესახებ

საქართველოს საფონდო ბირჟა (სსბ) არის ერთადერთი ორგანიზებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში. სსბ, რომელიც ჩამოყალიბდა USAID-ის დახმარებით და მოქმედებს ამერიკელი ექსპერტების დახმარებით შემუშავებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში, პასუხობს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საერთაშორისოდ დამკვიდრებული პრაქტიკის საბაზისო მოთხოვნებს. იგი სთავაზობს ეფექტურ საინვესტიციო მექანიზმს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ინვესტორებს. სსბ-ის ელექტრონული სავაჭრო სისტემა ბროკერებს ათასობით სხვადასხვა აქციით ვაჭრობის შესაძლებლობას აძლევს სამუშაო ადგილებიდან, რომლებიც განლაგებულია როგორც სსბ-ის სავაჭრო დარბაზში, ასევე-დისტანციური წვდომის დახმარებით – საბროკერო კომპანიათა ოფისებში. 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 157 კომპანიის ფასიანი ქაღალდი დაშვებული სსბ-ის სავაჭრო სისტემაში, რომელთა სრულმა საბაზრო კაპიტალიზაციამ მიაღწია 0.5 მილიარდ ლარს, ხოლო დღიურმა ბრუნვამ 2.5 ათას ლარს.

გიორგი ბაჩიაშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
გიორგი ფარესიშვილი, გენერალური დირექტორი
ან მიმართოთ ჩვენს ვებ გვერდს www.gse.ge

ეს პრეს-რელიზი წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი საინფორმაციო მიზნებისთვის და არუნდა იქნას გაგებული როგორც რაიმე ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შეთავაზება ან მათ ყიდვაზე რეკომენდაციის გაწევა. პრეს-რელიზში მოყვანილი ზოგიერთი დებულება სამომავლო პერსპექტივაზეა გათვლილი, შესაბამისად ეფუძნება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა ამჟამინდელ ხედვას და, დამოკიდებულია მომავალ გარემოებათა განუზღვრელობასა და ცვალებადობაზე. სხვადასხვა ფაქტორთა გამო რეალური შედეგები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ზემოთ მოყვანილი დებულებებისგან.